სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 იანვარი, 2024 წ

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო ს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N07-01/02

,,ბსუ-ს მესამე მისიის აქტივობისათვის (მაღალმთიანი რეგიონის **აბიტურიენტების** ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის **მოსამზადებელი პროგრამების** განხორციელებისათვის) **2023-2024 სასწავლო წელს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/60 გადაწყვეტილებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე**

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის და **ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის** (2018-2024წ.), ,,ერაზმუს+“-ის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტის **„მესამე მისიის** ხარისხისა და შესაბამისობის განვითარება ქართულ უნივერსიტეტებში -Strengthenining the QUAlity and RElevance of the 3rd mission in Georgian Universities“/ **SQUARE)**, „ბსუ-ს **2023 წლის ბიუჯეტის** დამტკიცების თაობაზე” წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის N07-01/57 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს მიერ საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანასთან დაკავშირებით მესამე მისიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის N07-01/62 გადაწყვეტილების,** <u>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის **სამინისტროს და ბსუ-ს შორის** 2023 წლის 26 იანვრის N04-07/18 ხელშეკრულების (ცვლილება - 17.11.2023 წ. N04-07/287 შეთანხმებით) და 2024 წლის 08 იანვარს გაფორმებული N04-07/1 ხელშეკრულების, ,,ხულოს და შუახევის საჯარო სკოლების მე-12 კლასის</u> მოსწავლეებისათვის (აბიტურიენტების) ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი მოკლევადიანი პროგრამების განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 31 იანვრის N07-01/02 გადაწყვეტილების,** პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის **2024 წლის 10 იანვრის N12691** სამსახურებრივი ბარათის, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის **2024 წლის N1573140** სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 16 იანვრის სხდომის N07-02/01 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე ბსუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. **,,ბსუ-ს მესამე მისიის აქტივობისათვის** (მაღალმთიანი რეგიონის **აბიტურიენტების** ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის **მოსამზადებელი პროგრამების** განხორციელებისათვის) 2023-2024 სასწავლო წელს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/60 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები,** კერძოდ:

ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბსუ-ს მესამე მისიის აქტივობისათვის (მაღალმთიანი რეგიონის აბიტურიენტების ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი პროგრამების განხორციელებისათვის) 2023-2024 წლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“

ბ) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ბსუ-ს მესამე მისიის აქტივობისათვის (მაღალმთიანი რეგიონის აბიტურიენტების ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი პროგრამების განხორციელებისათვის) **2023 და 2024 წლებში გატარდეს** შემდეგი ღონისძიებები:

,,ა) გაგრძელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან (შემდეგში - სამინისტრო) თანადაფინანსებით 2023 წელს - სამინისტროს და ბსუ-ს შორის 2023 წლის 26 იანვარს გაფორმებული N04-07/18 ხელშეკრულების (ცვლილება - 17.11.2023 წ. N04-07/287 შეთანხმებით) პირობების შესაბამისად, ხოლო 2024 წელს - სამინისტროს და ბსუ-ს შორის და 2024 წლის 08 იანვარს გაფორმებული N04-07/1 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ხულოს და შუახევის საჯარო სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეებისათვის/აბიტურიენტებისათვის (შემდეგში - ბენეფიციარები) ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი პროგრამების განხორციელება, ბენეფიციარების მიერ სწავლის საფასურის გადახდის გარეშე;“;
ბ) პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული აბიტურიენტთა მოსამზადებელი პროგრამების განხორციელება (3 საგანში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურა; 2. ინგლისურ ენა - 3. მათემატიკა);
გ) აბიტურიენტთა მოსამზადებელი პროგრამების განხორციელების მიზნით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცდეს პროგრამების განხორციელების ხარჯთაღრიცხვა, მათ შორის პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობის და პირობების განსაზღვრით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ბსუ-ს შორის 2023 წლის იანვარში და 2024 წლის იანვარში გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების მოთხოვნების გათვალისწინებით;
დ) პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოსამზადებელი მიმართულების მიერ პროგრამების განსახორციელებლად შერჩეული პერსონალის შრომითი დატვირთვა და შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვროს სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების

შესაბამისად და მათთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები, წინამდებარე გადაწყვეტილების და ამასთან დაკავშირებით გამოცემული ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების შესაბამისად, რომელშიც მიეთითოს აბიტურიენტთა მოსამზადებელი პროგრამების განხორციელების ადგილი - ხულოს და შუახევის რესურსცენტრები, ჩატარების ფორმატი, შრომის ანაზღაურების და მივლინების პირობები;

ე) წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შევიდეს ცვლილება ბსუ-ს ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებაში;

ვ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს: 1. სამინისტროსთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში აღნიშნული ფორმის შესაბამისად, სამინისტროსაგან თანადაფინანსების თანხის მოთხოვნის თაობაზე წერილების მომზადება და გაგზავნა (პროგრამის ფარგლებში დასაქმებული პედაგოგების მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების (დღიური ხარჯი და დაბინავება) ანაზღაურების თანხის გადარიცხვის მოთხოვნასთან ერთად წარდგენილი იქნეს: პედაგოგებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება და კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცემული მივლინების ბრძანება, ასევე პერსონალის დაბინავების ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები); 2. სამინისტროსთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში აღნიშნული პირობის („ანგარიშგება“) თანახმად, ხელშეკრულებით გამოყოფილი თანხის ხარჯვის შესახებ ანგარიშის სამინისტროში წარდგენა, ვალდებულების შესრულებიდან 7 დღის ვადაში;

ზ) ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოიცეს შესაბამისი სამართლებრივი აქტები, ბსუ-ს რეგულაციების, ბსუ-ს ბიუჯეტის შესახებ სამართლებრივი აქტების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ბსუ-ს შორის 2023 და 2024 წელს გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესრულების მიზნით.

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**